შეთანხმების აქტი

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის #215 საჯარო სკოლა (ს/კ 226563368), (შემდგომში შემსყიდველი) , წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დავით ტყემალაძის სახით და მეორე მხრივ, სს „სილქნეტი“ (ს/კ 204566978) (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის თამთა შარაშენიძის სახით, ვაცხადებთ, რომ ვმოქმედებთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგრეთვე, ფიჭური სატელეფონო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების აუცილებლობის გათვალისწინებით, „2023-2024 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ნოემბრის N2016 განკარგულების, 2023 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON220000397) სატენდერო დოკუმენტაციის 10.1.13. ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების (2023 წლის 12 დეკემბრის ოქმი N CON220000397–3) შესაბამისად და ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია შეთანხმება მასზედ, რომ მხარეთა შორის 2023 წლის 20 ივლისს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (CON220000397) 2/2023 ხელშეკრულება გაგრძელდეს ამავე ტენდერით გათვალისწინებული ტარიფებისა და პირობების შესაბამისად და შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„2.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 700(შვიდასი) ლარი.“;
2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„4.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2023 წლის 1 იანვრიდან ახალი კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე და გამარჯვებულ პრეტენდენტ(ებ)თან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმების პროცედურების დასრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„4.3. 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ახალი კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე ან გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში ხელშეკრულებების გაფორმებისა და შესაბამისი პორტირების პროცედურების დასრულებამდე, უწყვეტი ფიჭური სატელეფონო მომსახურებით უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე, შემსყიდველის მიერ ფიჭური სატელეფონო მომსახურების გაწევა განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობებისა და ტარიფების შესაბამისად;

3. ხელშეკრულების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„**10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 2 თებერვლის ჩათვლით.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ზემოთხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები რჩება უცვლელი.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე და წარმოადგენს მხარეთა შორის 2023 წლის 20 ივლისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (CON220000397) #2/2023 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
	კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი
	თამთა შარაშენიძე
_____	_____